ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 1087 პარასკევი, 10 იანვარი 1914 წ. № 1087

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა ჴ კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „**ქართველი მწერლები**“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „**უგვირგვინო მეფენი**“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „**მიმქრალი შარავანდედი**“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „**უცხოეთის მწერლები**“, რომელშიაც დაიბეჭდება: „**დონ-კარლოსი**“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „**სამეცნიერო კრებული**“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. **ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.**

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან. 2) **ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.**

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წელიწ. მეათე. **„ნაკადულზე“** წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:

„**მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები**“,

(მრავალი სურათებით), **თარგმ. ანთელავასი.**

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

ტფილისში: „**ნაკადულის**“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. [illegible], **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან, **ფოთში**—ოქროპირ კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბველდიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **ხონში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შალბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლა

(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6).

მოწაფეთა მიღება; ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერა (solo) თეორიისა, ჰარმონიისა, ენციკლოპედიისა, სოლფეჯიოსი (ნოტების კითხვა) და ხოროს კლასსებში **დაიწყო 2 იანვრიდან,** დილის 11 ს.-დან 2 ს.-დე და საღამოს 5—7 საათამდე, (კვირა-უქმის გარდა) სკოლის კანტორაში.

სწავლის ფასი 65 და 75 მან. წელიწადში გადახდებათ, ნახევარი წლობით წინდაწინ, სპეციალური თეორია მუსიკისა 15 მან. წელიწადში.

სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან. 1004

ქართული თეატრი

ნინოობას, ამა იანვრის 14-ს

ტფილ. ქართველ ქალთა საზოგადოება

გამართავს

სალიტერატურო-სამუსიკო-სამხატვრო

საღამოს

I.

ლექციები—კ. აბაშიძისა, ივ. გომართელისა და შ. მესხიშვილისა.

II.

საკონცერტო განყოფილება: ხორო ფილარმონიულ საზოგადოებისა, სიმებიანი ორკესტრი ახალი კლუბისა და სოლისტები.

III.

ცოცხალი სურათები—ქართველი ქალის წარსულის და ახალის ცხოვრებიდან, მ. ქორელის და ვ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით.

დასასრულ ცეკვა. ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8 ს. 1019

გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

ტფილისის კერძო სამკურნალო

ჩუღურეთის ქუჩა, ხაკუროვის სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სახიდურის ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებ.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი მ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი მ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ვენერიულ. სნეულებ. და [illegible]	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი მ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10-დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასური. ფ. 14[illegible]

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საქარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

კიმონო

კიმონო

საჯარო ლექცია

პარასკევს, 10 იანვარს 1914 წ. პეტერბურგის პსიხო-ნერვოლოგიურ ინსტიტუტის და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორი

ვ. ნ. სპერანსკი

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე:

ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები ღირს 50 კ. 2 მ. 50 კ. და ამ თავითვე იყიდება არტისტიულ საზოგადოების დარბაზში. 6

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**— და გულისა. შეთანაწყობილი სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებული სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ. 9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

[illegible] 1 სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

სანაპიროზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ იოსების ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** განაწილებად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ფ. 122

ვაშლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაშლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 595.

ე. ხ. გაზაკაძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვა. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოსხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1462

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი კბილისა ა. მ. მუმულია-კუხალაიშვილი

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს-მდე. 872

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. სახ. გაბაშვილისა.

ექიმი

ი. ზ. ბძელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. 916

ქ. გორში

(დოკტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი მ. მუხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ერთგვარი აზროვნება

2

საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ფსიხოლოგიურ ნათესაობისა ის არის, რომ ერთსა და იმავე პოზიციაზე მდგარი ელემენტები ძალიან ხშირად ერთსა და იმავე შეცდომაში ვარდებიან და აზრებსაც ერთნაირს შეცდომაში გამოჰხატავენ. როდესაც რუსეთის შავ-რაზმელები, რუსეთის შოვინისტები და კონსერვატორები არა რუსთა ბუნებრივ მოთხოვნილებებს ებრძვიან, მიმართავენ ტერმინოლოგიას, რომლის ერთად-ერთი დანიშნულებაცაა, გაზვიადოს საკითხი და თავის-თავად სრულიად უბრალო და სადა მოთხოვ-

ნილება იმნაირად წარმოუდგინოს მკითხველს, თითქოს მისი დაკმაყოფილება რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაღუპვა იყოს. ამისთანა შემთხვევებში ყოველ-გვარი ეროვნული მოთხოვნილება ზეპირად სეპარატიზმად ინათლება. შორს რომ არ წავიდეთ, მოიგონეთ, თუნდაც, ტფილისის რუს-ნაციონალისტების ორგანო „გოლოს კავკაზა“. იყო დრო, როდესაც იგი სეპარატისტებად ნათლავდა ისეთებსაც კი, რომელთა პოლიტიკური რადიკალიზმი საერობო თვითმმართველობის მოთხოვნაზე შორს არ მიდიოდა. ავტოკეფალისტები ხომ, რა თქმა უნდა, უსაშინლეს სეპარატისტებად არიან გამოცხადებულნი, თუმცა მეოცე საუკუნეში ბავშმაც კი იცის, რომ ეკლესიის ავტოკეფალიას არაფერი საერთო არა აქვს პოლიტიკურ სეპარატიზმთან. რაღა უნდა ვსთქვათ ავტონომიაზე, რომლის თვისება რუსეთის ინტელიგენციის მხოლოდ მცირე უკეთილშობილეს ნაწილსა აქვს გაგებული! გაიხსენეთ, რანაირ მდგომარეობაში იყო ამ რამდენისამე ხნის წინად ფინლანდიის საკითხი. რუსის ნაციონალისტები თავიანთ ბრძოლას ფინლანდიასთან იმით ასაბუთებდნენ, რომ ეს უკანასკნელი სეპარატიზმისკენ მიისწრაფვისო. ავტონომიურ უფლებათა დაცვას რუსეთის ნაციონალისტები სეპარატიზმად ასაღებდნენ. ნუ გგონიათ, თითქოს მათ არ ესმოდეთ, რა დიდი განსხვავება არსებობს ავტონომიასა და სეპარატიზმს შორის! ძალიან კარგად ესმით, მაგრამ ცნებათა ფალსიფიკაციით ჰსურთ შეჰქმნან საზოგადოებაში არა რუსთათვის საზიანო, მავნებელი, სულიერი განწყობილება. პროგრესიული საზოგადოება ძალიან კარგად ჰხედავს ამას და კიდეცა სცდილობს გამოამჟღავნოს ხოლმე ეს თაღლითობა და ცნებათა ფალსფიკაცია.

მაგრამ რას ეტყვით იმ ადამიანს, რა სახელს უწოდებთ მწერალს, რომელსაც თავისი თავი დიდ დემოკრატად მოაქვს, ყოყლოჩინობს ამ დემოკრატიზმით და ისეთსავე თაღლითობასა სჩადის, რანაირსაც მენშიკოვი, პურიშკევიჩი და ძმანი მათნი? თუ დასელიც ამისთანა რამეს ჩაიდენს, ჩვენ იგი ან წინასწარ განზრახულ ბოროტებად უნდა ჩავთვალოთ, ან გაუგებრობად. ჩვენის აზრით ამ შემთხვევაში მეორე თვისების მოვლენასთანა გვაქვს საქმე. როდესაც ბ-ნი შორეული ასეთსავე თაღლითობასა სჩადის, უეჭველია, სრულს გაუგებრობას იჩენს. ეს გაუგებრობა შედეგია იმ გარემოებისა, რომ იგი ისევე მტრულის თვალით უცქერის საქართველოს, როგორც პურიშკევიჩი. ერთნაირად წარმოდგენილი ბედი საქართველოსი და ერთნაირი დამოკიდებულება მისდამი ბუნებრივად ჰბადებს ერთნაირ აზროვნებას, რაც, თავის მხრით, იწვევს ერთნაირ შეცდომებს. აბა ყური დაუგდეთ, რა თაღლითურად არის შეცვლილი ცნებანი და რა ოსტატურად იჭერს ავტონომიის ადგილს სეპარატიზმი. „ამნაირად აქ მართლაც სოლიდარობაა,—სწერს ბ-ნი შორეული,—მაგრამ სოლიდარობა ორგვარი. ერთი მაღალ კლასების, მეორე დემოკრატიის. სეპარატიზმს აქ ადგილი არა აქვს. იგი კლასიური ომის ველიდან განდევნილია. იჩაგრება ამით ერის ინტერესები? ერთ შემთხვევაში კი, მეორეში არა. მაღალი კლასების სოლიდარობა ბიუროკრატიის გაძლიერებაა, დემოკრატიის კი—დასუსტება. ერის განვითარების მთავარი გარანტია კი ბიუროკრატიის ძალთა დარღვევაშია. ამ დარღვევას კი სეპარატიზმი ხელს უშლის და ამიტომ იგი დემოკრატიისაგან უარყოფილია, თუ მაღალი კლასი სეპარატიზმს გაურბის ერის დაასამხობად, დემოკრატია გაურბის ერის გასაძლიერებლად“. ხომ ჰხედავთ, მკითხველო, რა რიგ თაღლითურად არის შეპარებული მსჯელობაში ავტონომიის ცნების ნაცვლად ცნება სეპარატიზმისა. ამ ჟამადაც, სწორედ ისევე, როგორც „გოლოს კავკაზა“-სთან კამათის დროს, იძულებული ვხდებით ავუხსნათ ბ-ნ შორეულს, რომ ავტონომია და სეპარატიზმი ერთი და იგივე არ არის. სეპარატიზმი ნიშნავს გამოყოფვას, სრულს დამოუკიდებლობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებისას, ავტონომია კი არის მხოლოდ თვითმმართველობა, აღჭურვილი საკანონმდებლო ფუნქციებით შინაური საქმეების უკეთესად მოსაწყობად. ნუ თუ ბ-ნმა შორეულმა არ იცის, რა დიდი საზღვარი არსებობს ავტონომიასა და სეპარატიზმს შორის? იცის, ძალიან კარგად იცის, მაგრამ სეპარატიზმის ნაცვლად ავტონომია რომ ეხმარა, მაშინ წერილი ნაგვის გოდორში უნდა გადაეგდო, რადგანაც მთელი მსჯელობა ბ-ნი შორეულისა მხოლოდ მაშინ იქნებოდა მართალი, სეპარატისტების წინააღმდეგ რომ ყოფილიყო მიმართული. და რადგანაც ჩვენში სეპარატისტები არ არიან, ადგა და ავტონომისტები მონათლა სეპარატისტებად, ჩაიდინა ის, რასაც ჩვეულებრივად მხოლოდ პურიშკევიჩ-მარკოვები სჩადიან.

ბ-ნი შორეულის მარტივი აზროვნებით, მუშათა კლასის სოლიდარობის აუცილებელი პირობაა მუშათა გათქვეფა ერთმანეთში, დავიწყება იმისა, რომ, გარდა სოციალური ჩაგვრისა, არსებობს კიდევ მრავალი ისეთი ჩაგვრა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს მუშათა კლასმა. მუშათა სოლიდარობის აუცილებელი პირობა რომ მათი ერთს ორგანიზაციაში მოქცევა იყოს, მაშინ აღარ იქნებოდა ეროვნული სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. რატომ ერთხელ მაინც არ ჩაფიქრდება ბ-ნი შორეული, რად მოჰხდა, რომ არსებობს ცალკე ორგანიზაცია პოლონელთა, უკრაინელთა სოციალ-დემოკრატებისა და რა დააკლდა მუშათა კლასს ამნაირის ორგანიზაციების დაარსებით? ბ-ნი შორეული რომ ცხვირის იქითაც ჰხედავდეს რამეს, დაინახავდა, რომ არც ერთი ერის დემოკრატია არ არის ისეთი უპიროვნო, როგორც ქართველი. თითქმის ყველას, გარდა საზოგადო მოთხოვნილებებისა, აქვთ თავიანთი საკუთარი მოთხოვნილებანი და არც დასთანხმდებიან ისე დაჰკარგონ ინდივიდუალური სახე, როგორც ჩვენებურმა დასელებმა დაჰკარგეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ცენტრალიზმი ყველაზე მეტს მიმდევრებს ქართველებში ჰპოულობს და სწორედ ქართველებიც ასაზრდოებენ ამ ცენტრალიზმს. რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება? ადვილად შეიძლება ბ-ნმა შორეულმა თავის ქება დაიწყოს და სთქვას, ქართველები სხვებზე, მაგალითად, პოლონელებზე, კულტუროსნები არიანო. მაგრამ ყოველი დაკვირვებული და მიუდგომელი ადამიანისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს თავის მოტყუება იქნება. იმ გარემოებას, რომ თვითოეული ერის პროლეტარიატი თავის საკუთარ ორგანიზაციად ირაზმება, ღრმა მიზეზები აქვს. პირველი და უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ იგი უფრო შეეფერება ცხოვრების რეალურ პირობებს. მართალი იყო ლასალი, მამათ-მთავარი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, როდესაც იგი ნაციონალურ ფორმებში ასხამდა სოციალისტურ აზრებს და პრაქტიკულ მოქმედებასაც სამშობლო ქვეყნის კონკრეტულ პირობებში აწარმოებდა. მარქსის მოძღვრება მარქსთანავე დარჩებოდა, ეროვნული პარტიები რომ არ დაარსებულიყო და სოციალისტური აზროვნება ეროვნულ ფარგლებში არ მოქცეულიყო. მაგრამ, ამ საერთო მიზეზებს გარდა, არსებობს კიდევ კერძო მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ეროვნული ჯგუფების წარმოშობა რუსეთში. მე მოგახსენებთ იმ უკიდურეს ცენტრალისტურ აზროვნებაზე, რომელიც შეითვისეს რუსის სოციალ-დემოკრატებმა. ამ უკანასკნელებს დიდხანს არ უნდოდათ გაეგოთ და არც ეხლა ჰსურთ გაიგონ, რომ პატარა ერები, სოციალური ჩაგვრის გარდა, განიცდიან ეროვნულ ჩაგვრასაც, და ამ უკანასკნელის მოსასპობად სრულიად არა კმარა საერთო მოქალაქობრივ უფლებათა აღიარება. რუსის სოციალ-დემოკრატთა ცენტრალიზმის ყურმოჭრილ ყმებად დარჩნენ მხოლოდ ჩვენებური დასელები, რომლებმაც კარგად შეასრულეს თავიანთი ბატონების დავალება და ავტონომისტებს სულ „ბდღვირი“ გაადინეს.

ამიტომ ტყუილად ჰგონია ბ-ნ შორეულს, თითქოს სოლიდარობის აუცილებელი პირობაა მუშათა გათქვეფა. კულტუროსანმა ერებმა თავიანთი ეროვნული ფიზიონომია არ დაჰკარგეს, მაგრამ, აბა, წინ გადაუდექით და უთხარით, თქვენ მუშათა სოლიდარობას ჰღალატობთო! ამისთანა რამის თქმა მხოლოდ ჩვენში შეიძლება, სადაც ყოველგვარი უაზრობა, თუ მას სოციალ-დემოკრატიული ბეჭედი აზის, დიდს სიბრძნეთა ასაღდება.

ბ-ნ შორეულს ძალიანა სწყინს, რომ ჩვენი დასელები ხან რუსის ნაციონალისტებს დავადარეთ და ხან ბიუროკრატიას. იქნება სასიამოვნოც არ იყოს ასეთი დადარება, მაგრამ რას იზამთ, როდესაც იგი სრული ჭეშმარიტებაა. შეიძლება ადამიანები სულ სხვადასხვანაირ იდეალებს ისახავდნენ, მაგრამ ამ იდეალების მისაღწევად ისეთს საშუალებას მიჰმართონ, რომელიც საბოლოოდ ერთსა და იმავე შედეგამდე მიიყვანს ორთავეს. იდეალები დასელებისა და რუსის შოვინისტებისა, რა თქმა უნდა, სხვა და სხვაა. პურიშკევიჩს სულ სხვა მიზნისთვის უნდა ცენტრალიზმი და დასელებს—სხვა მიზნისთვის, მაგრამ ამით თვით ცენტრალიზმის თვისება არ იცვლება. იგი მაინც თავის საქმეს აკეთებს და სრულიად ეწინააღმდეგება იმ საბოლოო იდეალს, რომელსაც ისახავს დემოკრატია. ავტონომია არის ის საშუალება, რომელიც ამა თუ იმ კუთხეს უტოვებს იმ სულიერსა და მატერიალურ სიმდიდრეს, რომლის შექმნაც მას შეუძლიან. რეაქციონური, ცენტრალისტური აზროვნება არის წინააღმდეგი, რადგანაც მას არ უნდა პატარა ერი განვითარდეს და გაძლიერდეს. რეაქციონური აზროვნება თავის მიზნად ისახავს ეროვნულსა და კულტურულს ერთსახეობას და სძულს, როდესაც ჰორიზონტზე ინდივიდუალური ეროვნული სახე გამოჩნდება ხოლმე. ამ მოსაზრებათა ძალით იგი უარჰყოფს ყოველ ინდივიდუალურ გამოხატულებას ეროვნული ცხოვრებისას, უარჰყოფს, რა თქმა უნდა, ავტონომიასაც. დასელებიც უარჰყოფენ ავტონომიას. მაგრამ ამ უარყოფას ასაბუთებენ ისე, თითქოს იგი უარყოფა აუცილებელი პირობა იყოს საერთაშორისო პრინციპების განხორციელებისა. რა ფასი აქვს ამ დასაბუთებას, როდესაც თვით ავტონომიის უარყოფა ხელს უწყობს იმ მიზნების განხორციელებას, რომელსაც რუსეთის შავ-ბნელი რეაქცია ისახავს?

ავტონომიის უარყოფით კეთდება ის საქმე, რომელიც მხოლოდ პურიშკევიჩებს ახარებს. თქვენ შეგიძლიანთ, როგორც გსურთ, ისე დაასაბუთოთ ავტონომიის უარყოფა, მაგრამ ამით არსებითად არაფერი შეიცვლება და, რაც მავნებელია დემოკრატიისთვის, მავნებლად დარჩება.

ბ-ნ შორეულის წერილში არის კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ. იგი სწერს: „ავტორს არა სწამს, რომ დემოკრატიული წყობილება შეიცავს ერის თვითგამორკვევასაც, ე. ი. მისი ეროვნული დევნის გაუქმებასაც“ როგორცა ჰხედავთ, ბ-ნ შორეულსა ჰსურს არქივში ჩამარხული ცნობა თვითგამორკვევისა კვლავ გამოამზეუროს და მის საშუალებით გადასწყვიტოს ეროვნული საკითხი. ჩვენ გვეგონა, რომ, მას შემდეგ რაც ეროვნულ საკითხის შესახებ დაიწერა როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, სამუდამოდ გამოეთხოვებოდნენ იმ კომიკურ ცნებას, რომელსაც სახელად თვითგამორკვევა ეწოდება. ერის თვითგამორკვევის უფლება თავისთავად, რა თქმა უნდა, არაფერს კომიკურს არ შეიცავს, მაგრამ სოციალ-დემოკრატების პროგრამაში მან პირდაპირ კომიკური ხასიათი მიიღო. სოციალ-დემოკრატები ერის თვითგამორკვევის უფლებას აღიარებენ, მაგრამ ამასთანავე ერთად ებრძვიან ყველა იმათ, ვინც ამ თვითგამორკვევასა სცდილობს. სოციალ-დემოკრატების მსჯელობა ამ შემთხვევაში დაახლოვებით ასეთია: მე ნებას გაძლევთ თვითგამორკვევისას, მაგრამ, თუ გაგიწყრათ ღმერთი და ისე გამოერკვიეთ, როგორც მე არ მესიამოვნება, მაფრთხილდით, ჯვარს გაკრავთ, შოვინისტებად და რეაქციონერებად გამოგაცხადებთ. ამიტომ არის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში თვითგამორკვევის მაღალ სიტყვასთან ერთად მშვენიერად მიკუნჭულა კუთხეში დრაკონისტური შეზღუდვა ყოველივე ავტონომიისა. რა ფასი და ღირებულება უნდა ჰქონდეს ამნაირ უფლებას? იმავ დოკუმენტში, რომელშიაც მოთხრობილია ამბავი არარუსთ სკოლების შესახებ, ჩვენ ფრიად დამახასიათებელ სიტყვებსა ვხვდებით. ეროვნულ საკითხის შესახებ ამ დოკუმენტში აი რანაირი აზრია გატარებული: ერს აქვს უფლება თვითგამორკვევისა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს მას შეეძლოს თავის ნებით ამოირჩიოს გზა განვითარებისა. ყოველ კერძო შემთხვევაში სოციალ-დემოკრატებმა განსაკუთრებით უნდ იქონიონ მსჯელობაო. [illegible] თა ჰფეთქავს ამ სიტყვებში [illegible] ლისტური სულის კვეთება. სოციალ- დემოკრატები კიდეც აძლევენ ერს თვითგამორკვევის უფლებას და თა ნაც თრთიან, ვაი თუ ამ უფლებ რუსეთის იმპერიალიზმს რამე ავნო სო, და სთხზავენ რეზოლიუციებს რომელთა ერთად-ერთი დანიშნ ლებაც არის შეზღუდვა ერთა უფ ლებებისა.

ამისთანა ხალხის იმედით დაე ის ბ-ნი შორეული იყოს. ჩვენ კი მგო ნია, რომ ქართველმა ხალხმა უკ მიაღწია განვითარების იმ წერტილ როდესაც პლეხანოვებისა და ლენი ნების აპეკა აღარ სჭირდება. სხვ დაუხმარებლადაც იგი კარგად მოუ ვლის თავის თავს.

არ. ჯ—შვილი.

ქართული პრესა

გაზ. „ერში“ ა. აბესაძე ყურადღ ბას მიაქცევს ახალგაზრდობის მნიშ ნელობას ჩვენის კულტურის აღორ ძინებაში. ავტორი აღნიშნავს ამ კულ ტურის დღევანდელს განსაცდე და ასეთს კითხვას აყენებს: რა ის ნის ჩვენს კულტურასო? და თვ თონვე შემდეგს პასუხს იძლევა: კულ ტურის აღორძინება მოხდება მა როდესაც დღევანდელ საზოგ დოებას სათავეში ნამდვილი ქა რთველები ეყოლება; ქართულ ენის შესწავლა; შესწავლა ჩვე წარსულისა—ეს საქართველოს აღ დგენა იქნება... სიხარულით აღ ნიშნავ ამ ფაქტს, რომ ამ გზ უკვე ადგია რამდენიმე პირი, მა რამ მათი რიცხვი მეტად მცირე მეტი გვჭირდება. ჩვენ გვინდა ქა რთველი მასწავლებელი, რომელ ბიც ქართული ენის გაკვეთილე საცეკვაო თემად არ გადაიქცევ როგორც ჩვენდა საუბედურო აქამდე იყო. მასთან ერთად სა როა დაარსდეს კულტურული მეცნიერო წრეები, სადაც მოსწა ლე ახალგაზრდა გაეცნობა ჩვე ისტორიას და იგრძნობს გაჭირვ ბას ჩვენი ერისას. ეს წრეები დი სარგებლობას მოიტანს. მხოლო მეცადინეობა, მხოლოდ ენერგი გაცნობა ჩვენი წარსულისა დარწმუნებულიყავით, ძალიან რო გვძულდეს საქართველო, მ სი წარსული შეგვიყვარდეს.

აქ, რასაკვირველია, საჭირ უფროსების თაოსნობა, ინიციატ ვა. მოხნადებული ქართველ თითო-ოროლა სოფელსა გაეყ ლება და არ დაიზარებს ახალგ დობასთან მეცადინეობას სამშო ლოს აღდგენის გულისათვის, ჩვ ჯერ კიდევ შეგვიძლია შევიარა დეთ კულტურული იარაღით, მხ

წასაბაძი მაგალითი

(დასასრული *)

კრებამ განიხილა აგრეთვე სამუშაო გეგმა და დაადგინა, რომ ყოველივე სამუშაო, საწისქვილო შენობის აშენება, ხე-ტყის მასალისა, მანქანებისა და ქვების მოტანა, საძირკვლებისთვის თხრილების ამოთხრა და სხვა უნდა იკისრონ წევრებმა უფასოდ. შემდეგი კვირისთვის მოიწვიეს ქ. როსტოვიდან ნოტარიუსი კანტორის რწმუნებულთან ერთად და წისქვილის აშენების პირობა საბოლოოდ შეიმუშავეს და დაამტკიცეს. რადგან ფირმა თხოულობდა პირობის უზრუნველ-ყოფას უძრავი ქონებით და ასეთი ქონება მომხმარებელ საზოგადოებას არ გააჩნდა, ამიტომ პირობაზე საზოგადოების მაგიერ ხელი მოაწერა 169 წევრმა, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა.

ამ დღიდან გაჩაღდა მუშაობა წისქვილის ასაშენებლად. პირველ ყოვლისა, სოფ. სემიკარაკორაში იყიდეს საწისქვილო შენობისთვის საჭირო ხე-ტყის მასალა.

ხე-ტყის მასალის გადატანის დღეს დანიშნულ ადგილას გამოცხადდა 368 „პოდვოდი“. ამან ფეხზე დააყენა მთელი სოფელი, ხალხი ქუჩებში გამოცვივდა და ფიქრობს: ნუ თუ ძველი დრო მოაგონდათ კაზაკებს, როცა ისინი მოულოდნელად თათრებს ეცემოდნენ?!.. ნეტა, ვის დარბევა-გაძარცვა განუზრახავთ ახლაო?.. ხე-ტყის საწყობის პატრონი ძლივს გამოიხსნეს გარეთ. კაზაკების რაღაც ანგარიშები ჰქონია, შეშინებია, ვაი თუ მისაბიგავად მოდიანო, და სადღაც მიმალულა.

მთელი მასალა ერთ გზობად წამოიღეს. ასეთივე ერთობა-თანხმობითა და ერთსულოვნებით მოიტანეს ქვა, ქვიშა და აგური სულ რაღაც სამი დღის განმავლობაში. ყოველივე მასალების მოტანის შემდეგ კანტორიდან გამოგზავნილი ტეხნიკოსის ხელმძღვანელობით შეუდგნენ საწისქვილო სახლის აშენებას.

წისქვილის შენობას აშენებდნენ თვით წევრები, რომელთა შორის აღმოჩნდნენ: ჩინებული ხურონი, კალატოზები, დურგლები, მჭედლები და აგრეთვე ზეინკლებიც. მხოლოდ მცირეოდენ სამუშაოსთვის მოიწვიეს სპეციალისტები.

რა გასაკვირია ამიტომ, რომ მომხმარებელი საზოგადოების წევრებმა ასეთი მუშაობით სამი თვის განმავლობაში მოათავეს ყოველივე სამუშაო, გარდა მოწყობილობათა.

ამ დროს რკინის გზის სადგურზე, რომელიც მოშორებულია სოფლიდან 70 ვერსით, მოვიდა ყველა საწისქვილო მანქანები. იმის და მიუხედავად, რომ თიბათვე იდგა, როცა სოფელში გაცხარებული მუშაობა სწარმოებს და ყოველი საათი ძვირად უღირს სოფლის მუშას, 50 მორიგი „პოდვოდი“ დაუყოვნებლივ გაემგზავრა დანიშნულ ადგილას. თითოეულ „პოდვოდში“ 2—3 ოჯახის ცხენი და ხარი ება.

ყველაზე უფრო მძიმე საქმე კაზაკების საგმირო კოოპერატიული მუშაობიდან—სოფელში 100 ძალიანი დიზელის სისტემის მატორის ჩამოტანა იყო. მატორის დანიშნულებაა წისქვილის ამოძრავება. დაშლილად ის წარმოადგენს რამდენიმე უზარმაზარ ნაწილს: 2 ნაწილი მატორის ვეებერთელა ბორბლისა, მისი კორპუსი და სხვა.

ზოგიერთი მათგანი მოდის რამდენიმე ასი ფუთი და მათი გატანა ქალაქის ქვა-ფენილ ქუჩებზეც საძნელო არის, სოფელში კი ნამდვილი წამებაა.

მატორი მოიტანეს წყლით ს. კაჩეტოვკამდე, რომელიც მოშორებულია ყირიმიდან 12 ვერსით. მატორთან ერთად მოვიდა 1500 ფუთი ნავთი წისქვილისთვის და 1000 ფუთი დუქნისათვის.

ამ დროს წისქვილის აშენება დამთავრებული იყო, საწისქვილო მანქანები თავის ადგილებზე ჩადგმული, აკლდა მხოლოდ მატორი, რომელსაც უნდა ჩაებერებია სიცოცხლე და აემოძრავებია მთელი წარმოება.

ცნობამ—რომ მოვიდა მატორი და მასთან ერთად ამდენი საქონელი—კვლავ აამოძრავა მთელი სოფელი, წევრებს რაღაც განსაკუთრებულის სიხარულით აევსოთ გული. რომ ჩქარა გადმოეტანათ ყველაფერი, გადასწყვიტეს წასვლა ერთბაშად. და კიდეც წავიდნენ.

გამოვიდა 300 წყვილი ხარი, რამდენიმე ასი ცხენი, გაემართა დანიშნულ ადგილისკენ 400 კაცი. შინ დარჩნენ მხოლოდ ისეთები, რომელთაც თავისით სიარული არ შეეძლოთ.

კაჩეტოვკაში, როგორც სემიკარაკორაში, ყველა განცვიფრებული იყო ამდენი ხალხით. როცა საქმის ვითარება გაიგეს, მათს სიხარულს საზღვარი არ ქონდა: ვაშა კრიმსკელებს, ვაშა კრიმსკელებს, რომ შემოაკვეცეს კუდი ივანე პავლეს ძეს, იმან ჩვენც გაგვაძრო ტყავიო...

ერთ დღეს ყველაფრის გამოლაგება და დაბარგება ვერ მოასწრეს. მეორე დღეს, როცა უკანასკნელი ბარგიც დააწყვეს—დაიძრნენ სახლისკენ ისევ ერთბაშად.

შემოდგომა იდგა. გზებზე ტალახი მუხლებს წვდებოდა. ასეთ პირობებში მძიმე ბარგის გადატანა გმირულ საქმეთ ჩაითვლება. წვრილმანების მოტანამ მხოლოდ რამდენიმე საათს გასტანა. საღამოს ყველაფერი სოფელში იყო.

ვისაც მანქანები მოქონდა, დიდი შრომა დასჭირდა. კაჩეტოვკიდან კრიმსკამდე სულ 12 ვერსია. ამ 12 ვერსის მანძილზე მანქანების გადატანას 8 დღე მოანდომეს, დღეში 1 ნახ. ვერსს გადიოდნენ.

აუწერელია ის შრომა, ენერგია და ზეკაცური მოთმენა, რომელიც დაიხარჯა აქ წევრებისგან. ყოველი ნაბიჯის გადადგმა სოფლისკენ ჯოჯოხეთური შრომის შედეგი იყო.

ერთ ურემს („ტელეგა“) უბავდნენ 50 წყვილ ხარს, 200—250 კაციც ზედ მიემატება. აჰა, წყდება ჯამბარა.

ზოგი ცხვირ-პირით, ზოგი ყირამალა და ზოგიც ვინ იცის როგორ ტალახში ეფლებიან... სიცილ-ხარხარი და ისევ გულმოდგინეთ მეორე ნაბიჯისთვის სამზადისი..

დიახ!.. ერთობ ამოითითხნენ ტალახში გმირი კოოპერატორები... ყოველი ნაბიჯის გადადგმა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, რაც უფრო უახლოვდებოდნენ სოფელს, მით უფრო მეტი ხალხი, მეტი ძალები ემატებოდათ. საშველად ქალები, ბავშვები და აგრეთვე მოხუცებული სოფლელებიც ეგებებოდნენ. მძიმე ტვირთების მოტანაში ყველანი ეხმარებოდნენ, არავინ ზოგავდა შრომასა და ენერგიას, არავინ ერიდებოდა ტალახში ამოსვრას. ყველას ამხნევებდა ამ საქმეში მონაწილეობის მიღება.

მანქანების დადგმა-მოწყობამ ორ თვეს გასტანა. ყოველ დღე, რიგრიგობით, დილიდან-საღამომდე, ხელმძღვანელ ტეხნიკოსის განკარგულებაში იყო 50 მუშა—წევრი საზოგადოებისა.

კოოპერატორების თავ-განწირულმა და ენერგიულმა მუშაობამ თავდავიწყებას მისცა ხელმძღვანელი ტეხნიკი და ისიც აიტაცა სამუშაოს ჩქარა გათავების სურვილმა, თუმცა მას წინედ სულაც არ გაუგონია თურმე სიტყვა კოოპერაცია. ის სამუშაო, რომელსაც ის სხვაგან 3—4 თვეს ანდომებდა, აქ 2 თვის განმავლობაში შეასრულა.

იმ დღეს ან, უკეთ, იმ საღამოს, როცა თვით ამოძრავდა პირველად კოოპერატიული წისქვილი, ხელ-ახლა ფეხზე დააყენა მთელი სოფელი. ყველა წისქვილისკენ მიეშურებოდა. ყველას უნდოდა დაენახა თავისის თვალით ის, რის განხორციელება არავის სჯეროდა!.. ასეთი დიდი წარმოდგენა ქონდა ყველას იმ საქმეზე, რომელიც მათ დაიწყეს, აგრე უმწეოდ გრძნობდა ყველა თავის თავს!

როცა მათ დაინახეს, რომ წისქვილი, **მათი წისქვილი**, მოძრაობს, გუგუნებს, ხმაურობს, ფქვავს, მუშაობს კარგად და მასთან ფქვავს ორჯერ მეტს, ვინემ ივანე პავლეს ძის წისქვილი, თან უკეთესის ხარისხისას,—მათ სიხარულსა და აღფრთოვანებას საზღვარი არა ქონდა და საკმარისი იყო, რომ ვინმეს წამოეძახა: აბა, ამხანაგებო! ყოველ კუთხით თითო წისქვილი ამოვუშენოთ ჩვენს წისქვილსო!—ყველანი ერთბაშად გამოაცხადებდენ თანხმობას.

საბედნიეროდ ეს არ მოხდა და ჩვენმა კოოპერატორებმა განაგრძეს საერთო მხიარულება. რამაც გასტანა სამი დღე. დაიხარჯა დიდძალი ღვინო და, დასასრულ, სწორედ ივანე პავლეს ძის კარებთან გამართეს „კატის კონცერტი“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 150 კაცი.

ამ კონცერტმა ივანე პავლეს ძეზე მოახდინა ისეთი შემაძრწუნებელი გავლენა (კარგად თამაშობდენ კოოპერატორები!), რომ მან მალე მიმართა თხოვნით მომხმარებელ საზოგადოებას, რომ შეესყიდათ მისგან წისქვილი ძლიერ ხელსაყრელს პირობებში. მაგრამ საზოგადოება ბრძნულად მოიქცა და უარყო მისი წინადადება.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიმსკაიას მომხმარებელი საზოგადოების წისქვილი მუშაობს დღემდი და გასული წლის 1 თებერვლიდან 1 ოქტომბრამდი მას დაუფქვავს 150,000 ფუთი ფქვილი და მოუტანა საზოგადოებისათვის 7,200 მანეთი წმინ მოგება. ამის გარდა საზოგადოებ ვადამდე ვალების გასტუმრებისთ მიღებული 500 მანეთით განუზრ ხავს საკუთარი ბიბლიოთეკის დაა სება.

ეს, რა თქმა უნდა, დასაწყისია ეჭვს გარეშეა, რომ ახლო მომავა ში კირიმსკაია და მისი მეზობელ სოფლები მოიფინება სხვა და სხ კულტურულ-განმანათლებელი დაწ სებულებებით, ხალხი მოღონიერდ ბა, სულს მოიდგამს და სოფელ სულ სხვა ელფერი დაედება.

ვისურვოთ, რომ კრიმსკაიას წა ბაძველები ჩვენშიც აღმოჩნდეს ბუნებრივად მდიდარი ჩვენი ქვეყ მოფენილი იყოს სხვა და სხვა კ ოპერატიულ დაწესებულებებით!

ვისურვოთ, რომ მიმდინარე 19 წელს აღორძინებულიყოს საკოოპ რაციო მოძრაობა ჩვენში!

აღორძინების გზას აბაშის კო ოპერატივი „ანგარიში“ უკვე დაა გა. ქუთაისის „პროგრესი“ ღველფ ლდვივის, ის არ მომკვდარა და, ვ იცის, იქნებ ისიც ავარდეს მაღ საჭიროა ამისთვის: წარსულის შ წავლა, მომავლის გულისთვის საე თო მუშაობასთან შეგუება, შეცდ მა-ნაკლულევანებათა აწონ-დაწონვ ში მიუდგომლობა და ხელმძღვან ლობა იმ მოწოდებით, რომელი სხვათაშორის, თავიდანვე იყო აღნ ქდილი „პროგრესი“-ს კარებზ **„დაიწუნეთ და კრიტიკის ქარ-ცეცხ ში გაატარეთ ის, რაც არ მოგწონ მაგრამ მოიქეცით ამ შემთხვევაშ როგორც მეგობარი და არა რო გორც მტერი“...**

„ანგარიში“-სა და „პროგრესი“-ს შესახებ მათი კრიზისის შემდეგ ბე რი დაიწერა, მაგრამ სიმართლე ჯე კიდევ არ თქმულა.

მერე რა დამოკიდებულება აქ ამას კრიმსკაიას საზოგადოებასთან? ვნახოთ შემდეგ წერილებში!

იასონ გაბილია.

---

*) „სახ. გაზ.“ № 1086.

ლოდ კულტურულ ძალას შეუძლია იხსნას ჩვენი სამშობლო.

დიდი ადგილი უჭირავს დღეს ეკონომიურად გაძლიერებულ ერს. მაგრამ—„კარგ მომტანს კარგი შემნახველი სჯობიაო"—ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენს ბუნებას—მომტანს უხვი სიმდიდრისას. საბედნიეროდ, დღესაც მდიდარია იგი და თუ ეს მაინც შევინარჩუნეთ, რაც დღესა გვაქვს, კიდევ არაფერი გვიჭირს. ხოლო თუ დღესაც ხელიდან გავუშვით ჩვენი სიმდიდრე, სასტიკი დრო მოგველის,—შეუძლია ეკონომიურად ძლიერს ერს სასტიკი იარაღით შეგვებრძოლოს. ეს იარაღი იქნება „კულტურული", გვჭირდება მომზადება და თუ არ მოვემზადეთ დავკარგავთ იმ სახელს, რომელიც მოუპოვებია საქართველოს წარსულ ისტორიაში და რაკი ეს დაიკარგება, ყველა ზურგს შეგვაქცევს და ჩვენი შვილიც შეუძლებელი გახდება".

ჩვენ სრულიად ვემხრობით ბ. აბესაძის მოწოდებას. ჩვენს ახალგაზრდობას, მომავალს თაობას ყველაზე უფრო ესაჭიროება სერიოზული მომზადება და მასთან ერთად დაახლოვებით გაცნობა ჩვენის ქვეყნის წარსულის და აწმყოსი. დღესაც დიდი უბედურებაა ჩვენთვის მოუმზადებლობა ყოველ საქმეში და ამ მოუმზადებლობას კიდევ უფრო სასტიკად და მკაცრად ვიგრძნობთ ხვალ და ზეგ. საქმის ადამიანები, მცოდნენი, სერიოზულად მომზადებულნი, თავის სამშობლოსთან შესისხლხორცებულნი—აი როგორს შვილებს მოელის ჩვენი ერი უმაღლეს სასწავლებლებიდან.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კ. ყიფიანის იუბილე.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლების და დეპუტატების საკრებულომ გადასცა საიუბილეო კომიტეტს 600 მან. ამავე კომიტეტმა მიიღო ელისაბედ დავ. მოხლოკელისაგან 100 მან., ადამ ივ. ფორაქიშვილისაგან 50 მან. და ვასილ ვას. დრაბნევიჩისგან 10 მან.

✦ **უმაღლესი ჯილდო.** როგორც გადმოგვცეს, მთელს რუსეთში კარგად ცნობილს **კონიაკის ფირმას „დ. ზ. სარაჯევ"** უმაღლესად ებოძა წოდება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სასახლის იჯარადარისა.

✦ გუბერნატორმა მეფის მოადგილის კანცელარიას წარუდგინა 1914 წლის საეროზბო გზების შესახებ ხარჯების ხუსხა, რომელიც კანცელარიის სატეხნიკო კომისიამ სწორე შედგენილად არ სცნო და გუბერნატორს უკან დაუბრუნა.

✦ **ქალაქის გამგეობის საავადმყოფო განყოფილების** რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად 11 იანვრისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს სამედიცინო კომისიის კრება.

✦ **ვაზის მყნობის კურსები** მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტმა, სხვათა შორის, გორის მაზრის ს. ცხინვალშიც მოაწყო. კურსებს ხელმძღვანელობდა აგრონომი ი. იოსელიანი, რომელმაც 10 კაცს შეასწავლა ვაზის მყნობა.

✦ **კომპოზიტორი ნ. პ. სულხანიშვილი** დღეს, დილით, თელავს გაემგზავრა, სადაც გაწვეულია გალობის მასწავლებლად თელავის სასულიერო სასწავლებელში.

✦ **სახალხო სახლის** ქართული წარმოდგენების წრემ დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს კ. ყიფიანის იუბილეს საერთო დღესასწაულში და ამას გარდა სახალხო სახლშიც გამართოს იუბილიარის პატივსაცემი წარმოდგენა.

✦ **საქალაქო სესხი.** ტფ. სახაზინო პალატამ გუბერნატორს აცნობა, რომ მას საწინააღმდეგო არა აქვსრა, რომ ტფ. ქალაქის თვითმმართველობამ 400,000 მან. სესხი აიღოს ავჭალის წყალსადენის გასაფართოვებლად.

✦ **ხელოსანთა შორის** განზრახულია, ტფილისში დაარსდეს კლუბი. წესდება უკვე შემუშავებულია და გუბერნატორისათვის წარდგენილი დასამტკიცებლად.

ხელოსანთა მამასახლისმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ხელოსანთა ახალ გამგეობის თანამდებობის პირთა სია.

✦ გუბერნატორმა ნება დართო სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას, 18 იანვარს ტფ. საკრებულოში ლატარია გამართოს თავის ნივთიერ ღონის-ძიებათა გასაძლიერებლად.

✦ გორის მაზრის სოფ. შინდისის მამასახლისის ივანე საბანაძის ქვრივსა და ვაჟს სამინისტრომ ყოველწლიურ პენსია დაუნიშნა 80 მან., აქედან 60 მან. ქვრივს და 20 მან. ვაჟს.

✦ **წესიერი დასვენება.** გუბერნატორს საჭიროდ დაუნახავს, რომ ვაჭრებს ნება მიეცეთ დღევანდელზე მეტს ხანს ივაჭრონ დიდ უქმეების წინა დღეებში. ამას გუბერნატორის აზრით, თვით მცხოვრებთა ინტერესი მოითხოვს. ამის გამო გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, შესაფერად შესცვალოს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა დასვენების სავალდებულო დადგენილებანი.

✦ **ხორცის ნიხრის** გადასათვალიერებლად დღეისთვის ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება არის დანიშნული.

✦ **ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა.** ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას აზრად აქვს, თეთრის ყვავილის ამბულატორია გახსნას. ამ საკითხის განსახილველად საზოგადოების საბჭოს 15 იანვარს საგანგებო კრება ექნება.

✦ ამ მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოიცემა **ბ. გ. ქუჩიშვილის** თხზულებანი.

✦ **ჟურნალ „კლდე"-ს** მეორე (კვირის) ნომერს დაერთვის დამატება, რის გამოც ეს ნომერი 10 კ. ეღირება.

✦ **თავად-აზნაურთა საღამო-მეჯლისის** შემოსავალი ჯერ გამორკვეული არ არის. დაახლოვებით მთელი შემოსავალი 6,000 მანეთამდეა, ხარჯი 2,000 მან. ნაღდად 4,000 მანეთამდე დარჩება.

✦ **ტელეფონი ტფილის-კავკავს შუა.** ამ ჟამად აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ ტელეფონი იქმნეს გაყვანილი ტფილისსა და კავკავს შუა, ისე, როგორც ტფილისსა და ბაქოს შუა არსებობს. კავკავის ქალაქის გამგეობას უკვე სასურველად უცვნია ამ საქმის განხორციელება და შესაფერ შუამდგომლობის აღძვრას აპირობს. ამ შუამდგომლობას მხარს დაუჭერს ტფ. ქალაქის თვითმმართველობაც.

✦ რედაქციამ მიიღო **„ჯეჯილის"** დეკემბრის (მე-12) ნომერი, შემდეგის შინაარსით: ყრმა იესო, სურათი, ცილი ფისოს! საშობაო ლექსი შიო მღვიმელისა, მაწანწალა ბიჭი, ამბავი ევგენი ურუშაძისა, ექვს-ნახევარი ინდოური (საშობაო მოთხრობა) თარგმანი კუდრაჭასი, პატარა ქალი, ლექსი გელასი, მჭედელი და მისი შვილი-შვილი, ნორვეგიული ლეგენდა (დასასრული შემდეგ) თარგმანი ელ. ხაბურზანიასი, დაიბადა! გ. ლეონიძისა, წვრილმანი: გამოცანები, ანდაზა, გასართობები და სხვა, ზამთარი, ლექსი ვ. რუხაძისა, თავის გაჩენილს ღმერთი არ დაჰკარგავს, საშობაო მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა, დაღუპული მეზღვაური, ცქვიტია, ზამთრის პირი, ლექსი ვ. გორგაძისა, დაკარგული ბავშვი ფრანსუა კოპესი თარგმანი ეკ. მესხისა, სასწაულები სახარას უდაბნოში—იტასი, სარჩევი 1913 წლისა.

სომეხთა ცხოვრება

✦ **ოსმალეთის სომხეთი.** რეფორმების საქმე ისევ გამოურკვეველია. ოსმალეთის მთავრობა ისევ ორპირფულად იქცევა. ამბობენ, რომ ზოგიერთ მაზრებში არეულობა დაიწყოო.

✦ **სამუსიკო საზოგადოება.** ერზერუმში დაარსდა სომხური სამუსიკო საზოგადოება, რომელმაც უკვე შეადგინა საკუთარი სიმფონიური ორკესტრი.

✦ **სპარსეთის სომხები.** სპარსეთის სომხები მეჯლისის არჩევნებში არავითარს მონაწილეობას არ იღებენ. ადერბეიჯანში საზოგადოთ არჩევნების შესახებ არა ისმის რა, ხოლო ინდოეთ-სპარსეთის ეპარქიაში სომხები მონაწილეობას არ იღებენ არჩევნებში შემდეგის მოსაზრებით: ამ რამდენისამე თვის წინად პოლიციის რეორგანიზაცია მოხდა შვედელ ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით, რომელმაც გამოაცხადა, რომ სამსახურში მიღებულ იქმნებიან მხოლოდ მაჰმადიანები. სომხებმა იფიქრეს, რომ მათ საზოგადოდ აღუკვეთენ სახელმწიფო სამსახურში შესვლას და გადასწყვიტეს პროტესტის გამოცხადება არჩევნების ბოიკოტით.

ბაქო

✦ 18 იანვარს სამხატვრო წრე ჰმართავს სალიტერატურო საღამოს. ტფილისიდან მოწვეულია ბ. გ. ქუჩიშვილი.

ქინძისთავი

„ჰა, ესეც შენ... სახსოვრადა... რომ არ გრძნობდე თავს ურჩემოდ..."
მითხრა ეს, და ქინძისთავი მყის მიჩხვლიტა ტუჩის ქვემოდ.

„განშორების ჟამს კარგია! როს შენ მიხვალ, დაისვენებ —
ქინძისთავის ნაჩხვლეტს იგრძნობ: მომიგონებ, გამიხსენებ..."

ეს სიტყვებიც სთქვა და—მორცხვმა—ძირს ჩაჰკიდა მორცხვად თავი:
თითქო თავის გერმის ბალიშს უჩხვლიტაო ქინძისთავი.

ჩემო! ჩემო! ერთი მითხარ, ჩხვლეტა რაღა საჭიროა:
ნუ თუ ვერ გრძნობ, რომ ეს გული ვით ზღვა ღრმა და უძიროა?!..

ბათომი. **ი. გრიშაშვილი.**

ბორჩალო

✦ **ახპატის მონასტერი** ამ დღეებში ვიღაც უცნობებმა გაჰქურდეს. წაიღეს ვერცხლის სხვა და სხვა ნივთი, წონით 16 გირვანქა.

სოფლად.

✦ **ჭალიხაურის ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილებას** 19 იანვარს დანიშნული აქვს სოფ. ლიხაურის სკოლის შენობაში წლიური საზოგადო კრება. განსახილველია: 1) საბჭოს და გამგეობის მოხსენება 2) 1913 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

ქართველები მასწავლებელთა კრებაზე

(წერილი პეტერბურგიდან)

2

სამწუხაროდ დავაგვიანე. დილის $11^1/_2$ საათია. კრება სრულს 11 საათზე გაუხსნიათ—როგორც დაგვპირდნენ. კრება სწარმოებდა. დარბაზი ახლაც სავსეა. ტრიბუნაზე ჩვენი დეპუტატი **ვარლამ გელოვანი** იყო და სიტყვას ამთავრებდა. მხოლოდ რამდენიმე დებულებას მოუსწარით. საინტერესო ის არის კრებისათვის, რომ მან—კრებამ—სკოლებში გამეფებულ სიდუხჭირის სათანადოდ გაგებით, დაადგეს ისეთს გზას, რომლითაც საუკეთესოდ შესძლებს საერთოდ შემუშავებულ პროგრამების რეალიზაციას. ამ მხრივ სახალხო მასწავლებელთა კრებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და სწორედ აქ იყო საჭირო იმის აღნუსხვა, თუ რა პოლიტიკა უნდა აწარმოოს მასწავლებლებმა და საზოგადოებამ ამ ჟამად, რა წეს-წყობილებისათვის უნდა იზრუნონ. გუშინ, 22 დეკ. სხდომაზე, მხოლოდ ერთმა ებრაელმა ბ. გ.-მ დააყენა საკითხი სისწორით და კრებას ნათლად დაანახა, რომ ყველას იმ სურვილების განადგება, რომელიც მიღებული აქვს კრებას, შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ შევქმნით ისეთს სოციალ-პოლიტიკურს პირობებს, რომელნიც არა თუ ხელს შეუშლიან, არამედ ხელს შეუწყობენ შემუშავებულ გეგმათა განადგების საქმეს. ამიტომ მასწავლებელთა მუშაობა თავისდაუნებურად ეხლართება საპოლიტიკო ხასიათის მუშაობას, რასაც მოლაპარაკეს აზრით დიდი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. უფრო ღრმად, უფრო საინტერესოდ, უფრო ნიჭიერად სწორედ ეგ სადი აზრი გაატარა თავის სიტყვაში ვარლამ გელოვანმა, რომლის დასკვნებაც მოუსწარი ამ დღეს. ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული და ყოველის მხრივ თავისუფალი სკოლა თვით ერმა უნდა შეჰქმნას, ერმა თავისუფალმა, ერმა სახელმწიფოებრივ უფლებებით აღჭურვილმა. შეჰქმენით ეროვნული თავისუფლება, აღჭურვეთ ერი ეროვნულ დემოკრატიულ კონსტიტუციით და იგი თვითვე შეჰქმნის თავის ნამდვილად სახალხო სკოლას, სკოლას თავისუფალს, სად პედაგოგიურს პრინციპებზე აშენებულს. აი მთავარი აზრი ვ. გელოვანის სიტყვისა. მოწოდება გელოვანისა დასრულებულიც არ იყო, რომ მთელი დარბაზი ტაშმა და ვაშ მოიცვა. პსიქოლოგიური ოვაცია შეუძლებელია უღრმესი და უდიადესი. ვ. გელოვანი ათავებს თავის ფხიან სიტყვას, კვლავ დაუსრულებელი ტაში, ხოლო დაწყნარების შემდეგ იწყებენ თეზისების კითხვას.

კ. ჩხეიძეს სიტყვას სრულიად ვერ მოუსწარი. ამბობდნენ მისიანები უგუნებოთ იყოვო. მე არა მეთქმის რა.

დღის სრულდება მოხსენება—თეზისების კითხვა და ამიტომ შემდეგი ნაწილი კრების მუშაობისა აღარ მაინტერესებდა. მაგრამ **ბ. ს. ტიგრანიანის** თეზისების კითხვამ საინტერესო დისპუტი გამოიწვია, რომელმაც დიდად დაგვაინტერესა.

საზოგადოდ, ბ. ტიგრანიანის მოხსენება და თეზისები ქუაზი-დემოკრატიულ პრინციპზე არის აშენებული, უკეთ იგი ერთიანად დაფუძნებულია **პოლიტიკურ** ლიბერალიზმის პრინციპებზე და რამდენადაც იგი ლიბერალიზმი გამოხატულია დებულების მე-6,7 მუხლებში (იხ. „Дневникъ" № 6 გვ. 11) იმდენად ჩვენ უარვყოფთ მას, მაგრამ მეხუთე მუხლმა—ბუნდოვანად გამოთქმულმა—ფრიად საინტერესო კამათი გამოიწვია—უმთავრესად ვ. გელოვანისა და დასელების შორის. ტიგრანიანის თეზისების მეხუთე მუხლით, მაგ. სომხის სკოლებში მასწავლებლობის უფლება ეძლევა იმ არა სომხებსაც, რომელნიც სათანადოდ შეისწავლიან სომხურ ენას, ზნე-ჩვეულებას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, გეოგრაფიას... შეიძლება კარგად ვერ არის გამოთქმული ტიგრანიანის თეზისის ეს პრინციპი, იმ შემთხვევაში მისი რედაქციული შეკეთება იყო საჭირო, მაგრამ ერთმა აქაურ დასელების „თვალსაჩინო" ადეპტმა არც აცხელა, არც აცივა და აღიარა ცხარედ: **„სომხის სკოლებში მასწავლებლად მხოლოდ სომეხი უნდა იყოსო"**. ეს დებულება რომ მიეღო კრებას, გამოვიდოდა, რომ, მაგალითად, ქართლში, სადაც მრავლად არის სომხობა, რომელთაც სომხური ენისა და ადათის თითქმის არა იციან რა, აი ასეთ ქართველ-სომეხს ქართულს სკოლაში მასწავლებლობის ალაგი არ შეეძლო დაეკავებია, რაც სასურველი პიროვნება არ უნდა ყოფილიყო მაგალ. ქართველობისათვის იგი სომეხი. ამ ნაირად, ეს ყოვლად გაცვეთილი შოვინისტური აზრი წამოაყენა წინ დასელმა, შ. გ.—ამ, რასაც სამართლიანად მკაცრი კრიტიკა უყო ვ. გელოვანმა, რომელმაც განმარტა, რომ სომხის სკოლის მასწავლებლად შეუძლია იყოს არა სომეხსაც, თუ იგი არა სომეხი ღრმა მცოდნე, მოამაგე და მოსიყვარულე იქნება სომხის ერის, იმ ეროვნული კრებულისა, რომელიც საზოგადოდ შესვეურობს სკოლის ცხოვრებას. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ნაციონალისტურ პოლიტიკას და ამ პოლიტიკით შექმნილ სხვადასხვა შესაძლოებას, მაგრამ დემოკრატიულ ერობის ხელში მოქცეული სკოლას, მის ყოველ სვებედს გადაჰკრის არა რომელიმე ცენტრი დღევანდელი ცენტრალისტურად მოწყობილ სახელმწიფოსი, არამედ თვით ეროვნული კრებული, ადგილობრივი ძალა. ვ. გელოვანმა ამ ნაირად მშვენივრად დასთრგუნა ზოოლოგიური პრინციპი გაბატონებულ ერის ცნობილ პოლიტიკისა და წამოაყენა დემოკრატიულ ჩარჩოში მომწყვდეული პრინციპი ეროვნული თავისუფლებისა, რომელიც სრულიად არა ჰლახავს ინდივიდუალურს ადეპტებს სხვა და სხვა ერებისას. დასელებმა საჭიროა კარგად გაუწიონ ამ გარემოებას ანგარიში და უნდა დაინახონ თუ ფაქტიურად —რაკი თეორეტიულად ვერ სწვდებიან კაცთმოყვარეობით აღსავსე ჩვენს საეროვნო პროგრამას — თუ რასა ვამბობთ და რასა ვქმნით ჩვენ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ვისმენდი დისპუტს და დიდს სიამოვნებასა ვგრძნობდი, როდესაც ვ. გელოვანს საშუალება ეძლეოდა კიდევ ერთი შემთხვევით მშვენივრად გაეტარებინა სულისკვეთება იმ სოც.-ფედერალისტთა საეროვნო პროგრამისა, რომელსაც დასელები აგრე უკბილოდ, აგრე უსამართლოდ შოვინიზმსა სწამებენ.

არსებითად იგივე აზრი წარმოსთქვა თავის გრძნობიერს სიტყვაში ცნობილმა მწერალმა ქალმა კუსკოვამ, რომელმაც ეს საკითხი საერთოდ დაუქვემდებარა **სახელმწიფოებრივ უფლებით აღჭურვილ** ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის კომპეტენციას, რაიცა ძლიერ მოეწონა და მიიღო კიდეც კრებამ.

თ. ღლონტი.

P. S. ჩვენ ვერ დავწყნარდით დასელის მიერ აღიარებულ შოვინისტურ დებულებით და რამდენიმე ქართველ სტუდენტებთან ერთად დასელს შ. გ.—ას სავსებით განუმეორეთ მის მიერ კრებაზე წარმოთქმული დებულება. დასელმა აღიარა, რომ მან მართალია აღიარა ეგ დებულება, მაგრამ იგი ახლა იმ დებულებას აღარ იზიარებს, აღელვებით მომივიდაო. ოჯახ აშენებულს ეგ კრებაზედაც უნდა ეღიარება და მაშინ კომენტარიებიც აღარ დასჭირდებოდა. **თ. ღ.**

შირაქის ამბები

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამ ერთი თვის წინად „სახალხო გაზეთ"-ში დავბეჭდე ცნობა შესახებ იმისა, რომ შირაქის ახალშენებს ზემო და ქვემო ქედს დიდი ზარალი მოელის მინდორში გაჩენილის თაგვისაგანაო. ამ წერილით მინდოდა, როგორც თვით ქედლების, ისე ადგილობრივ ადმინისტრაციის ყურადღება მიმექცია ზემორე აღნიშნულ მოვლენისათვის, მაგრამ ჩანს ჩემმა ძალამ ვერ გასჭრა ვერც ერთზე და ვერც მეორეზე.

როგორც ამ დღეებში ს. ქედიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, თაგვი თურმე დღითი-დღე მრავლდება და ჰლამობს ანეულები სრულიად გაანადგუროს და მაშველი, გულშემატკივარი კი არავინა ჩნდება. ქედლებს თოვლისა და ყინვის იმედი ჰქონდათ, ვითომ ზამთრის სუსხი მოსპობდა თაგვს და ამიტომ არავითარი ღონე არ იღონეს. რა თქმა უნდა, მოტყუვდნენ; არსად თოვლია, არსად ყინვა და თაგვიც გაზაფხულისათვის შესანიშნავ დღესა გვპირდება.

ვსთქვათ გლეხობამ თავის იმედები ამინდსა, ხატსა და ღმერთზე დაამყარა, განა ეს იმის მომასწავებელია, ადმინისტრაციამაც უბირ ხალხს მიჰბაძოს.

კვლავ მივაქცევ, ვისაც ჯერ არს, იმათ ყურადღებას, რათა სათანადო საშუალებანი მიიღონ ამ მომავალი უბედურების თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება მალე, შემდეგ გვიანღა იქნება.

ვგონებ დამშეული სოფლების გამოკვება ასი-ათასჯერ მეტ ხარჯს მოითხოვს მომავალში, ვიდრე წამლის ყიდვა და იმით თაგვის მოსპობა. პირდაპირ ადმინისტრაციის მოვალეობაა, განა თუ ძნელი, ძალიან ადვილად ასასრულებელი, არ მიიყვანოს, განა თუ მარტო ქედლები, —მთელი ქიზიყი, დამშევამდე.

ვთხოვ ადგილობრივ რუსულ და ქართულ გაზეთების რედაქტორებს, ეს ჩემი წერილი მოათავსონ თავიანთ გაზეთის ფურცელზე.

ვაჟა-ფშაველა.

გორის ამბები

ერთი უცნაური „ბრძანება" კიდევ მიუცია წ.-კ. საზ. სამკითხველოს გამგისთვის საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთ წევრს—კვირა-უქმე დღით სამკითხველო გააღე ხოლმე დილის თერთმეტი საათიდანო, როცა ჩვეულებრივ სამკითხველო ღიაა დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრამდე. მას უკან აგერ ერთი თვეა კვირაუქმით სამკითხველო დაკეტილია დილის 11—12 საათამდე. რამ აიძულა გამგეობა ასეთი „დასვენება" შემოეღო სამკითხველოს გამგისთვის, არ ვიცით, ეს კია, რომ ეს თუ საქმეს არ ავნებს, სარგებლობას არას მოუტანს. პირიქით, კვირა-უქმით უნდა იღებოდეს ადრე, რადგან ამ დროს ყველა თავისუფალია ხოლმე, ვაჭარიც, ნოქარიც, ხელოსანიც, ერიც და ბერიც... თუ გინდათ დაჰკეტეთ ხოლმე ათ-თერთმეტ საათამდე, სამუშაო დღით, ამ დღეებში ხალხი უფრო შუადღისას და საღამოთი დაიარება, კვირა-უქმე დღით კი სამკითხველოს თერთმეტთორმეტ საათამდე დაკეტვა უაზრობაა...

რადგან საწიგნე შკაფი ჯერ-ჯერობით არსად ჩანს, წიგნები დაგროვებულია მაგიდაზე ერთმანეთში არეული, უსისტემოდ, უკატალოგოდ... უწინარეს ყოვლისა საჭიროა წიგნები გადაირჩეს. ბევრი ისეთი რამაა, რომელიც სამკითხველოს ლუმელს უფრო დაამშვენებს, ვიდრე მაგიდას... მაგალ. რაღაც „პინკერტონები" რუსულად, სკანდარ-ნოვას „მომჯადოებელი", შედეგი „პოეზიისა" „თელაური თხა და სიღნაღური ვირი" და სხვ. უნდა წიგნები გადირჩეს მეთქი, შესდგეს კატალოგი და წიგნები უეჭველად ეძლიოს მსურველს სახლში წასაკითხად, უამისოდ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მნიშვნელობა არ ექნება... უნდა უეჭველად აიკრძალოს სამკითხველოში პაპიროსის წევაც. მზრუნველებს კი თვითონ წამოუდგამთ მაგიდაზე საფერფლეები და ამით უკარნახებენ მკითხველებს—„სწიეთ რამდენიც გნებოთ პაპიროსი, დამშლელი არავინ არისო"... ამის მაგივრად კი რომ ერთი ყულაბა დაედგათ, ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა... სამკითხველო უფასოა, მაგრამ მკითხველთა შორის მოიძებნებიან ისეთნიც, რომელნიც თავის წვლილს არ დაიშურებდნენ მის სასარგებლოდ. საჭიროა ოთახიც რიგზე თბებოდეს, თორემ... თავის გასაციებლად იქ არავინ შივა...

საჭიროა... ქართული წიგნებიც... ამ ჟამად მაგიდა რაღაც რუსული ჟურნალებით („ნივა" და სხვ.) და წიგნებით დაუტვირთავთ, ქართული წიგნები კი ნაკლებ ჩანს...

სურათებიც... არც ერთი სურათი ქართველი მწერალ—მოღვაწისა არა ჩანს... თუმცა ბევრ რამეს შეგვპირდნენ სამკითხველოს „ჭირისუფალნი" წინად, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაკეთებული არა ჩანს რა... დრო კია...

⁂

ერთ საინტერესო ცნობას წავაწყდი ამ დღეებში... გორში 1913 წ. იანვრიდან 27 დეკემბრამდე დაუკლავთ კამეჩი—იცით რამდენი? —156. მარტო იანვარში დაუკლავთ 58, თებერვალში 57 კამეჩი. ჩანს ყასაბებს ნახევრად კამეჩის ხორცით ვუკვებივართ.. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, ვგონებ, არც ერთ შემთხვევაში კამეჩის ხორცი თავის ფასად არ გაუყიდნიათ, არამედ ჰყიდიან ძროხის ხორცად და ისიც ნიხრ გარეშე 13—14 კაპეიკად გირვანქას. ყასაბს კი რომ უთხრათ, კაცო, ეგ ხომ კამეჩის ხორცია, მე ძროხისა მინდაო, შემოგიტევთ—სად არის იმდენი კამეჩი, რომ გასაყიდადა ვხოცოთო და... თუ არ დაუთმეთ, უხორცოდ გამოტრიალდებით გალანძღულ-შეგინებული... **საბა ბერი.**

მუშათა ცხოვრება

რუსეთში.

მთავრობის კანონ-პროექტმა პრესის შესახებ მუშათა შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. თითქმის ყოველ დღე იმართება სჯა-ბაასი ამ საგანზე მუშათა სხვა და სხვა ორგანიზაციაში გადაწყვეტილია გაიმართოს რეფერატების და მოხსენებების კითხვა იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც დავალებული ჰქონდა კანონ-პროექტის განხილვა. ამ რეფერატების წყალობით მუშები გაეცნობიან კანონებს, რომელიც მოქმედებს დასავლეთ ევროპაში.

სახელმწიფო სათათბიროს ს.-დემ. ფრაქციას უკვე მოსდის პროტესტები, რომელზედაც აუარებელ პირთ უწერიათ ხელი. მუშები წინადადებას აძლევენ დეპუტატებს ყოველი ღონისძიება იხმარონ, რათა რუსეთის პრესა თავისუფალი დარჩეს.

მუშების უბნები.

ფინანსთა სამინისტრომ უბინობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებას გადასცა 200 ათასი მანეთი. ამ თანხით საზოგადოებამ პეტერბურგში უნდა მოაწყოს მუშათა უბნები. ეს ფული ძირითად თანხად დაედო იმ თანხას, რომელიც საჭიროა მუშათათვის შენობების ასაგებად.

საზოგადოებამ ორჯელ გამოსცა პაები, რომელიც მაშინვე გაიყიდა 1 იანვრიდან საზოგადოებამ პაები მესამეჯერ გამოუშვა და ამასთანავე წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას და სამინისტროს შეისყიდონ პაები 200 ათასი მანეთისა. ბინების საკითხს ქალაქის კომისია თანაგძნობით შეხვდა. ამ დღეებში საზოგადოებამ შეიმუშავა ბინების გეგმები. მუშების სახლებში იქნება რამდენიმე ოთახიანი ბინები, თითო ოთახი, რომლის ქირაც მუშებს კვირაში თითო მანეთი გადახდებათ.

უცხოეთში

ლონდონი. (დეპეშა). 200 სამრეწველოში გაიფიცნენ მზიდველი მუშები. მათი რიცხვი 10.000 უდრის და ხელფასის მომატებას თხოულობენ.

ლისსაბონი (დეპეშა). რკინის გზის მუშათა სინდიკატის ბინა დაიკეტა. იქ ხდებოდა კრებები მუშათა სხვა და სხვა კავშირისა. პოლიციამ შენობას ალყა შემოარტყა და 200 მუშა დააპატიმრა. 400 მუშა მიიმალა

მოწერილი ამბები

ყვარელი. ს. ყვარელში და საზოგადოდ მთელს კახეთშიაც ჩვენი დედაკაცები ძალიან მისდევენ ჭიის მოყვანას. იმათი ერთად-ერთი ჯიბის ფულის წყარო მეაბრეშუმობაა და გაჭირებაში ჩვენ ქალებს მარტო იმის იმედი აქვს: „აი გაზაფხული მოვა ჭიაობას მოვიყვან და ამა-თუ-იმ საგანს აბრეშუმის ფულით ვიყიდიო. მაგრამ თქვენ უნდა ნახოთ, რა გაჭირვებით, ან რა პირობებით იღებენ ესენი ჭიის თესლს კარ-და-კარ მოსიარულე ვაჭრებიდან, ერთი თვის წინ გულზედ დაკიდებული დააქვთ სითბომ უნდა გა-

მოიყვანონსო, მერმე რაკი ქია გამოვა, მოვლა ისეთი აქვს, რომ რაც უნდა საღი თესლიდან იყოს გამოსული, ქია ვერ აიტანს იმ სიბინძურეს, სიბნელეს და უქმელობას, და რასაკვირველია მეთუდეც ვერ გააკეთებს პარკს. გაყიდვაც პარკისა ძალიან უძნელდებათ—იმავე ვაჭრებს უნდა მიჰყიდონ ნახევარ ფასში. ამ რიგად ჯაფამ სულ უბრალოდ უნდა ჩაუაროთ. მეაბრეშუმობა კი ამ გამოღმა ალაზნის სოფლებში ძალიან კარგი უნდა იყოს, რადგან დიდ-ძალი თუთის ხეებია. ამისთვის საჭიროა, ამ საქმეს ყურადღება მივაქციოთ, საჭიროა რიგიანი თესლი დაურიგდეთ, ისტრუქტორი გამოიგზავნოს, რომ ლექციები წაიკითხოს სოფლად და ცოტათი მაინც გააგებინონ ჩვენს ხალხს ქიის რიგიანი მოვლა. უნდა დაარსდეს საზოგადოება ქიის პარკის გაყიდვის საქმის მოსაწყობად. მალე გაზაფხული კარზე მოგვადგება, ქიაობის ხანაც მოვა, შაუდგეთ ამ საქმეს და მივეშველოთ ჩვენს ქალებს. გთხოვთ, მომცეთ საშუალება, რომ სოფ. ყვარლიდან მაინც დავიწყოთ ჯერ-ჯერობით ეს საქმე.

ე. ი. ჭავჭავაძისა.

სოფ. არანისი (დუშეთის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ქ. დუშეთის ჩრდილოეთით, ასე 12—15 ვერსზე. სამინისტრო სკოლების უწყებამ დიდი ხანია ამ სოფელში სკოლის აშენება გადასწყვიტა. გადადებული იყო ოთხასი თუმანი სკოლის ასაშენებლად და მის მოსაწყობად, მაგრამ სოფლის საზოგადოება ჯიუტობდა და გასაჩენს არ აღგენდა. რამდენჯერმე მისულა სამინისტრო სკოლების ინსპექტორი, მომრიგებელი შუამავალი, მამასახლისები და მღვდლები, ურჩევიათ დასთანხმებულიყვნენ სკოლის აშენებაზე, მაგრამ არანისლები მაინც თავისას გაიძახოდნენ: „არ გვინდა სკოლა, ღარიბები ვართ და არავითარი ხარჯის გაწევა არ შეგვიძლიანო“. სოფელს სამინისტრო სთხოვდა მარტო შეშას, განათებას და მოსამსახურეს.

შობის წინა დღეს ამ სოფელს ეწვია ადგილობრივი მომრიგებელი შუამავალი, აუხსნა სკოლის მნიშვნელობა და ურჩია უსათუოდ დაედგინათ განაჩენი, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლისთვის გადადებული ფული სხვა საზოგადოებაზე გადიტანებოდა. ხალხი ამ რჩევასაც დიდის უნდობლობით მოეკიდა და გაიძახოდა: „რა ვიცით, ეხლა ეგრე იძახით—ოთხას თუმანს იძლევიანო და, იქნება მერე ოთხასი კაპეიკიც ვერა ვნახოთ და მთელი სკოლის ხარჯები სულ თავზე წამოგვედოსო“.

ბოლოს ხალხი დარწმუნდა და განაჩენიც დაადგინა. ამის შემდეგ ადგილობრივმა მცხოვრებმა ქ-ნმა ქ. ოტიას ასულმა შაბურიშვილისამ ხალხს დაუთმო სკოლის აშენებამდის თავისი ორ-სართულიანი სახლი უფასოდ, აღუთქვა შეშის საკუთარ საშუალებით მოტანა და განათება. ხალხმა დიდი მადლობა გადაუხადა მომრიგებელ მოსამართლეს და ქ. შაბურიშვილისას და გამხნევებულნი დაიშალა. ამ გაზაფხულზედვე დაიწყება სკოლის აშენება და კეთილი ადამიანების წყალობით ამ კუთხესაც ეღირსება ცოტა რამ სინათლე.

მგზავრი ლ.

რუსეთი

სახალხო მასწავლებელთა კრება და სახალხო განათლების სამინისტრო.

გაზეთების სიტყვით სახალხო განათლების სამინისტრო უნდობლად უყურებს სახალხო განათლების მოღვაწეთა სრულიად რუსეთის კრების მოღვაწეობას. სამინისტროს განსაკუთრებით არ მოსწონს კრების მიერ გამოთქმული სურვილი სახელმწიფოს გავლენის შეზღუდვისა სახალხო განათლების საქმეში. სამინისტროს აზრით, სრულიად საჭირო არ არის საყოველთაო სწავლის შემოღების გეგმის გადათვალიერება. კრებას ჰსურს ამ საქმეში მთლად გააუქმოს სახელმწიფოს სული და სახალხო განათლების საქმე ერობას გადაეცეს. მაგრამ სწავლა-განათლებისათვის სახელმწიფო იძლევა ფულს. მაშასადამე, მასვე უნდა ჰქონდეს უფლება თვალ-ყური ადევნოს საქმის მიმდინარეობას.

კრების რეზოლიუციების პრინციპები სამინისტროს განყენებულად მიაჩნია. რეზოლიუციები თეორეტიულად იყო შემუშავებული, ცხოვრება კი თავის გზით წავაო. მიუხედავად ყველა ამისა, სამინისტრო მაინც დასძენს, რომ კრებამ მრავალი მასალა გამოამჟღავნა, ძვირფასი გაკვეთილი მოგვცა, რომლითაც უნდა ვისარგებლოთო.

ებრაელთა გაძევება.

ვოლინის გუბერნიიდან ებრაელთა გაძევება გახშირდა. გაძევებულნი სენატში ჩივიან, მაგრამ გუბერნატორი მაინც განაგრძობს მათს გაძევებას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორს, სენატში საქმის გარჩევამდის ებრაელთა გადასახლება შეეჩერებინა. ამის და მიუხედავად გუბერნატორი მაინც არ სცხრებოდა. ამბობენ, ვითომც გუბერნატორს წერილი მიუღია, სადაც ურჩევდნენ მეტის გულის ყური ათხოვოს სამინისტროს განკარგულებას.

მემარჯვენე პროფესორთა კრება.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად ნამყოფ ზვერევის თავმჯდომარეობით მოხდა წინასწარი სხდომა მემარჯვენე პროფესორთა მეოთხე კრებისა. კრებას 30 პროფესორი დაესწრო, განსაკუთრებით კიევის, ოდესის, ყაზანის და დორპატის უნივერსიტეტის პროფესორები. მოსკოვის უნივერსიტეტიდან ისევ ძველი დელეგატები წავიდნენ, პეტერბურგის პროფესორთაგან კრებაში მონაწილეობენ: ადამოვიჩი, გრიბოვსკი, როზენი და კუპლევსკი.

მ. გორკი რუსეთში.

„რუსკია ვედომოსტის“ ცნობით რუსეთის გამოჩენილი მწერალი მ. გორკი საცხოვრებლად რუსეთში დაბრუნებულა. იგი დიდიხანია რაც საზღვარ-გარედ ბინადრობდა; გორკი უცხოეთში დასნეულებულა და ექიმების რჩევით სამშობლოში დაბრუნდა. გორკი მაშინადვე გაემგზავრა ჩრდილო რუსეთში, სადაც იგი სულ უბრალოდ იცხოვრებს. გორკისთვის საჭიროა მშვიდი ცხოვრება. როგორც ამბობენ, გორკი სამუდამოდ გადმოსახლებულა რუსეთში.

სახალხო განათლების მოღვაწეთა კრების დახურვა.

3 იანვარს სახალხო განათლების მოღვაწეთა კრების მუშაობა დასრულდა. შემდეგი კრება გაიმართება სამი წლის შემდეგ 1916 წელს მოსკოვში. კრების პროგრამა იმავე ხასიათისა იქნება, რაც პირველ კრებისა იყო. მეორე კრების მოწყობა დაევალა მოსკოვისა და პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებებს.

კოროლენკოს დეპეშა.

სახალხო განათლების მოღვაწეთა კრების მონაწილეებმა მისალმების დეპეშა გაუგზავნეს რუსეთის ცნობილ მწერალს ვ. კოროლენკოს. კოროლენკომ საპასუხო დეპეშა გაუგზავნა და უსურვა მიზნის განხორციელება.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ბათომი. პირველ იანვარს ადგილობრივმა დასმა წარმოადგინა ვ. გუნიასი „და-ძმა“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. განსაკუთრებით ყურადღების ღირსნი იყვნენ ოტია ჯოლია (ყ-ლაბეგიშვილი) გაიოზი (დადიანი) და მარინე (რონელი) ფარად ფაშობა გელოვანს სულ არ უხდებოდა... მოხუცებული ადამია (კორიშელი) კარგი იქნებოდა, თუ წამების დროს რამდენჯერმე ამოეკვნესა.

4-სა იანვარს ითამაშეს „ღალატი“, ამ პიესით გაიხსნა აქ წელს სეზონი და ახლა განიმეორეს ქ. რონელის საბენეფისოდ. ზეინაბის როლს მობენეფისე ასრულებდა, მაგრამ, რომ არ ეკისრა ეს პასუხსაგები როლი კარგს იზამდა... უნაკლულოდ შეასრულეს დადიანმა (სულეიმან ხანი) და ყალაბეგაშვილმა (ოთარბეგი). ისეთი კარგი არ გვინახავს ალეულიშვილი, როგორიც იყო ის ამ ჯერად დათოს როლში... საზოგადოდ მთელმა წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მობენეფისეს მრავალი საჩუქარი და ყვავილები მიართვეს. **მესხელი.**

სოხუმი. სოხუმის რეალურ სასწავლებელში, სადაც ქართულ ენას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, 1 იანვარს გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. ყაზბეგისა, მეხუთე მოქმედება „კონსტანტინე ბატონიშვილი“. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. წარმოდგენას ამშვენებდა ელისო იანქოშვილი. (ქეთევანი) იმისმა ჩინებულმა თამაშმა ბევრ დამსწრეს მოჰგვარა ცრემლი. არა უშავდა ლ. თებზაიას (კონსტანტინე), ა. ალანიას (შაჰი), გ. გედევანიშვილს (ბერი) და ტ. გოჩელეიშვილს (ქაიხოსრო).

კოჯილი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

8 იანვარი.

უცხოეთი.

რომი. მცოდნე პირთა წრეებში გაზვიადებულად მიაჩნიათ შიში ალბანეთში საქმის გართულებისა. იტალიას არ შეუცვლია აზრი საერთაშორისო პროტექტორატის თაობაზე. ამის გამო იტალიას შესაფერისად მიაჩნია საერთაშორისო ზომების მიღება. რაც შეეხება ალბანეთის ბანკს, იტალია წინააღმდეგი არ არის სხვა სახელმწიფოებმაც შეიტანონ თვისი თანხები. მტკიცდება, რომ იტალიასა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება სწარმოებს ეგეის კუნძულთა დასაჭერად გაწეულ ხარჯთა ასანაზღაურებლად. იტალიას ალბანეთში კონცესია ჰსურს და ამისთვის სცდილობს სამთა შეთანხმების კაბინეთები მოამზადოს.

ლონდონი. ვენიზელოსმა ინახულა გრეი და ბალკანეთის საქმეთა მოგვარებაზე ერთ საათს ებაასა.

ტოკიო. პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა მეგობრული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან. აღნიშნა ინგლისთანა და რუსეთთან სასურველი ერთობანი. მინისტრის სიტყვით, იაპონიის პოლიტიკის მიზანია განავითაროს ჩინეთში ეკონომიური ინტერესები. კალიფორნიის საკითხზე მინისტრმა სთქვა: მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ზომიერ ღონისძიებათა მიღება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი არ არისო.

სოფია. ბევრ ქალაქში გაიმართა სოციალისტთა მიტინგები სახალხო კრების დათხოვნის გამო. სერიოზული შეტაკება მოხდა სოციალისტთა სხვა და სხვა ჯგუფთა შორის. ოფიციალურის ცნობებით, მცხოვრებთა უმრავლესობა თანაგრძნობით არ ეკიდება მემარცხენეთა პროტესტს. კვირას ლიბერალთა მიტინგი მოხდება, რომლითაც დაიწყება საარჩევნო აგიტაცია. მიტინგზე რადოსლავოვი ილაპარაკებს.

ვაშინგტონი. ვილსონმა კონგრესზე სიტყვა წარმოსთქვა ტრესტთა კანონ-პროექტზე. კანონ-პროექტებს აზრადა აქვს აკრძალოს სხვა და სხვა სამრეწველო გამგეობათა და ბანკთა შეერთება და განსაზღვროს საარჩევნო უფლება იმ პირთა, რომელნიც სხვა და სხვა სამრეწველოში მონაწილეობენ. პრეზიდენტი მოუწოდებდა კონგრესს ხელი შეეწყო ამ კანონ-პროექტის განხორციელებისთვის.

ლონდონი. ლოიდ-ჯორჯი გადაჭრით უარჰყოფს, ვითომც იგი თანამდებობიდან გადადგომას აპირებდეს.

ვენა. დეპუტატთა პალატა მსჯელობდა ორივე პალატის კომისიათა წინადადების თაობაზე პირადი გადასახადის შესახებ. 7 იანვრის სხდომაზე ჩეხელმა დეპუტატმა რიხტერმა ობსტრუქცია მოახდინა. ილაპარაკა 10 საათს. ობსტრუქციონისტები ამბობენ, საფინანსო რეფორმას კი არა მართვა-გამგეობის დღევანდელ სისტემას ვებრძვითო.

ტოკიო. პარლამენტის გახსნისას პრემიერ-მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა: აღნიშნა მეგობრული ურთიერთობანი უცხო სახელმწიფოებთან, მტკიცე კავშირი ინგლისთან, და სინანული გამოსთქვა, რომ კალიფორნიის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელიაო. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია ხარჯთა შემცირებისა და გადასახადთა შემოკლების პრინციპზეო.

ლონდონი. საზღვაო ნაოსნობის უზრუნველმყოფელმა საერთაშორისო კონფერენციამ საერთაშორისო კონვენციის პროექტი შეიმუშავა. კონვენცია 1914 წლის 31 დეკემბრამდე დამტკიცდება, ხოლო ძალაში შევა 1915 წლის პირველ იანვრიდან. კონვენციას ყველა სახელმწიფოს მოაწერა ხელი, გარდა რუსეთის დელეგაციისა, რადგანაც სათანადო მინდობილობა არ ჰქონია.

ბერლინი. თამბაქოს სამრეწველოთა ტრესტების წინააღმდეგ მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღო.

ვენა. დეპუტატთა პალატამ მიიღო შერეულ კომისიის წინადადება პირად გადასახადის კანონ-პროექტზე.

თავრიზი. სოუჯბულახიდან იტყობინებიან: დასჭრეს რუსეთის საელჩოს შიკრიკი; ბორთ-გამზრახველი ოსმალეთის ქვეშევრდომია; იგი ჯერაც ვერ დაუპატიმრებიათ.

მარმარო-სიგეტი. ბრალდებულთა ჩვენების ჩამორთმევა გრძელდება.

რუსეთი.

ნოვოჩერკასკი. განუწყვეტელი წვიმებისა და წყალდიდობის გამო მცხოვრებთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ადამიანის მსხვერპლიც არის.

კიევი. ნამქერების გამო მატარებელთა მიმოსვლა წესიერად ვერა სწარმოებს.

პეტროპავლოვსკი. 7 იანვარს, საღამოს 11 საათზე დიდი მიწის ძვრა იყო. მიწის ძვრამ 31 წამს გასტანა.

პოლტავა. გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კურსები, სადაც წვრილი მეურნენი გაეცნობიან გაუმჯობესებულ მეურნეობის წარმოებას.

კიევი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მომწყობი კიევის ორგანიზაცია თავის მოქმედებას მთელს რუსეთში ავრცელებდა. ამის გამო სხვა და სხვა ქალაქში დააპატიმრეს ჯარისკაცობიდან განთავისუფლებულნი. დაპატიმრებულთა რიცხვი 2.000 უდრის.

შემოწირულება

დასავლეთ საქართველოში დამშეულთა სასარგებლოდ.

შემომწირველთა სია სოფ. საგარეჯოდან. ნ. ლეჟავამ—1 მ. ლ. ბერიძემ 50 კ., ი. გოგელიამ 50 კ., ი. ქურდოვანიძემ 50 კ., უცნობმა 50 კ., № 50 კ., № 50 კ., ს. ნიკოლაიშვილმა 50 კ., მ. გულისაშვილმა 50 კ., მ. იანვარაშვილმა 50 კ., ს. მაისაშვილმა 50 კ., ნ. ყანდარელმა 40 კ., ს. მჭედლიშვილმა 40 კ., ლ. ზედგინიძემ 40 კ., ი. ანუაშვილმა 40 კ., გ. მდივანიშვილმა 40 კ., მ. მეტეხელმა 30 კ., ს. ბედიაშვილმა 30 კ., ა. ალმაზიშვილმა 30 კ., ნ. გელიაშვილმა 20 კ., ი. მამარდაშვილმა 20 კ., გ. გიგლაშვილმა 15 კ. სულ 9 მან. 45 კ.

წერილი რედ. მიმართ

ქართულ სათ. აზნ. გიმნაზიასთან **უფასო სასადილოს გამგეობამ** მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: 300 მ.—ახალი კლუბისაგან, 40 მ. გ. დ. ჟურულისა და ნ. დ. მაკარაშვილისაგან (მეთი განსვენებული დედის ხსოვნის აღსანიშნავად), 15 მ. ქ-ნ თ. ნ. პლემინნიკოვისაგან და 8 მ. კნ. ეკ. მ. ერისთავის წიგნაკით შეგროვილი. ყველა შემწირველთ გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს.

ობლად დარჩენილი ცოლშვილი ფოთის რკინის გზის მოსამსახურეთა მოურავის **სოლომონ მუჩიაშვილი**სა დიდ მადლობას უთვლით მოსამსახურეთა და სამტრედის საზოგადოებას, რომელთაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს დაობლებულებს ერთად-ერთი მარჩენალი სოლომონის გარდაცვალების შემდეგ.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მედიცინის დოქტორის ნაგახარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეუხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაგახარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანახიშვილი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ჩელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგტიბანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ბ. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბავშვთ და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგტიბანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნაგახარდიანი.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ანასტას. ერისთავ-ხოშტარიასი
1) „მოლიპულ გზაზე“, რომანი . . . 1 მ. 50 კ.
2) „ბედის ტრიალი“, რომანი . . . (60 კ.
„ლაზარემ გადააჭარბა“, მოთხრობა . (
3) „ქამისია“, სურათები სოფლის ცხოვრებიდან 15 კ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ამ მისამართით:
г. Гори. Анастасіи Георгіевнѣ Хоштарія.
გასაგზავნ ხარჯის გადაუხდელად. ვინც სამსავე წიგნს ერთად გამოიწერს, ორ მანეთად გაეგზავნება და ვინც გამოიწერს ათ წიგნზე არა ნაკლებს, დაეთმობა „მოლიპულ გზაზე“ 30 პროცენტი, დანარჩენებზე 20 პროცენ.
ამ მისამართითვე შეიძლება გამოწერა
დუტუ მეგრელის ნაწერებისა:
1) ლექსები, 70 კ., 2) მოთხრობები, 70 კ. ორივე წიგნის გამომწერს გაეგზავნება 1 მ. 20 კაპ.-დ, ათი წიგნის გამომწერს დაეთმობა 30%. 1012

სპეციალური
წიგნის მაღაზია
კ. ოცხელისა და ამხ.
ქუთაისში.
ი ყ ი დ ე ბ ა
ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი,
გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალსაჩინო სწავლისათვის, მწერლების სურათებით, მოძრავი ანბანი და სხვა.
პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს ეძლევათ დიდი შეღავათი.

სპეციალური
საკანცელარიო
მაღაზია
დ. ოცხელისა და ამხ.
ქუთაისში.
ი ყ ი დ ე ბ ა ყოველგვარი
საკანცელარიო და სასწავლო ნივთი;
ახლად მიღებულია არითმეტიკული „ჩოთქები“ და ყუთიბი, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები და მრავალი სხ.
ფასები მეტად ზომიერია 1621

უფლებიანი სავაჭრო სკოლა და
საბუღალტერო კურსები
ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა
სკოლაში მიღება დაიწყება 8 იანვრიდან დილის 8 ნახ.—2 საათამდე. 15 იანვრიდან კურსების მეცადინეობა 1-ლ ჯგუფთან იწარმოებს 2 ნახ.—5 საათამდე. მე-2 ჯგუფთან საღამოს 7 ნახ.—10 საათ. იქვე იყიდება სახელმძღვანელონი ბუღალტერიის შესწავლა შეიძლება აგრეთვე მიწერ-მოწერითაც. მიხეილის ქ. სახლი № 17. 905.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
არაყიშვილის ნოტები:
1) ქართ. ეროვნული სიმღერები ფორტეპიანოს აკომპანიმენტით: ახ, მთვარევ, ბუნდოვანს გულსა, ჩემო თავო, შენდა შეყრამდის, ორთავ თვალის, ოროველა, ნანა, ურმული, მზე (მეგრული), არანანუ, ვაი ღოროწთი, საარშიყო, მუ ფქიმინა, მზე (გურული), წიგნი, ქალო ლამაზო 1 მ.,
2) ცეკვა ფორტ. (დავლური) 50 კ.,
3) მგოსნ. სიმღ. ქალთა ხორ. 60 კ.
4) ეროვნული სიმღერები (კახური და ქართლური): კალოური, გუთნური, ურმული, ნანა, სათამაშო, მუშური, შაშვო ლამაზო ქიზიყური, ბერი კაცი ვარ, მაყრული, კახური გრძელი მრავალ-ჟამიერ, ზამთარიო, სუფრული, დიდება, იავ-ნანა, ზარით ტირილი, მკაში, დიამბეგო, ქალს გიქებენ, შავლეგო, ელესამ და გლესამ, მგზავრული, ცანგალა გოგონა, ჩემო თავო, ჩაკრული . . 65 კ.
5) ქართ. ერთხმოვ. ეროვნ. სიმღერები: წერა-კითხვ. გამოც. 20 კ.
6) РОМАНСы: Не пой красавица, Я жду тебя, мнѣ снился сонъ, еще такъ много струнъ, თითო . . . 30 კ.
Изъ гафиза № 1, . . . 40 კ.
„ „ № 4, . . . 45 კ.
7) Народн. пѣсня Западной Груз. 2 მ.
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

„ჯეჯილი“
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
თცდა-მეხუთე წელიწადი.
მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.
გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.
ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით), 5 ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან, ჭიათურაში—მასწ. ნიკ. წუწუნავასთან და სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილთან.
რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.
1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დასურათებული წიგნი:
„კუნწულა“.
ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джеджили“.
1003 რედაქტ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მარილის
ხიზილალა.
კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო. აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარილის დოში, იანი, შიპა, ზურგილები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და
კონსერვები.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩ.